



ღრმადი წლის თავზე.

საქართველოს ს.-დემ. მ. პ. კარტიის


მთაწვე ისტორია



გამოცემა საქართვე. ს.-დემ. მ. პ. საზღვ.-გარ. ბიუროსი.

პ ა რ ი ზ ი


1933



დამდგო წლის თავზე.

საქართველოს ს.-დემ. მ. პ. საზღვ.-გარ. ბიუროსი

მთაწვენი ისტორია



გამოცემა საქართველოს ს.-დემ. მ. პ. საზღვ.-გარ. ბიუროსი.

ბ ა რ ი შ ი
1 9 3 3

ქართული სახელმწიფო ბიბლიოთეკა
საქართველოს ს.-დემ. მ. პ. საზღვ.-გარ. ბიუროსი

წინასიტყვაობა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიურომ გადასწყვიტა პარტიის ჩასახვის 40 წლის თავი აღნიშნოს სხვათა შორის მისი მოკლე ისტორიის გამოცემით. წინამდებარე წიგნაკი ისახავს სწორეთ ამ მიზანს, მოაგონოს პარტიას მისი დიდებული წარსული, მისი მრავალფეროვანი მუშაობა და თავისდადება და გააცნოს ის ახალ თაობას მის საგულისხმოთ, სახელმძღვანელოთ და მისაბაძათ. აქ განსაკუთრებითი ყურადღება აქვს მიქცეული უშორეს ამბებს, პირველ ბალავერს, რომელიც ჩაიყარა 40 წლის წინეთ, რაზედაც დაეყრდნო პარტია და რამაც მისცა მას სწორი ხაზი, ნათელი დროშა და ბასრი ხმალი თავის ხანგრძლივ გამირულ მოღვაწეობისათვის.

«მოკლე ისტორია» დაწერილია ამხ. ზ. ჩიჩუას მიერ, გატარებულია განსაკუთრებით სარედაქციო კომისიაში და მოწონებულია ბიუროს მიერ. მის შედგენაში ავტორთან ერთათ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენმა დაუვიწყარმა ნ. რამიშვილმა.

ს. ს. დ. მ. პ. საზღვარ-გარეთელი ბიურო.

26 იანვარი 1933.

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

მ ო კ ლ ე ი ს ტ ო რ ი ა

1. შ ე ხ ა ვ ა ლ ი .

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ოუსეთში ბატონ-ყმობა მთავრობამ გააუქმა და საქართველოშიაც იმავე გზას (1864-1867) დაადგა, მაგრამ ეს მოხდა შემამულეთა ინტერესების სრული უზრუნველყოფით. გლეხკაცობას ვარგისი მიწა ჩამოუჭრეს და შემამულეთა სრულ საკუთრებათ დააკანონეს. აღმოსავლეთ საქართველოში 6,5 ჰექტარი მიწის ნაცვლად კომლს არგეს 4 ჰექტარი, ხოლო დასავლეთ საქართველოში—1,7 ჰექტარი და ისიც გამოყიდვამდე შემამულეთა საკუთრებად ირიცხებოდა. ასე შეიქნა «დროებით ვალდებულთა» ინსტიტუტი, რამაც უფლებრივად და ეკონომიურად გლეხკაცობა უაღრესად ცუდ პირობებში ჩააყენა.

გლეხთა განთავისუფლებამ გამოიწვია მთელ რუსეთში მოწინავე ინტელიგენციის მოძრაობა და ამ რეფორმისადმი თანაგრძნობა. ამ საერთო ფერხულში ჩადგენ ქართველი მოღვაწენი მესამოცე წლებისა და საქართველოს განვითარების სვებედი ამ პროგრესიულ მოძრაობას დაუკავშირეს.

მეორე მხრით რუსეთში იწყება მძლავრი რევოლიუციური და სოციალისტური მოძრაობა ხალხოსანთა (ნაროდნიკთა) დროშით, რამაც ქართველი ახალგაზდა ინტელიგენცია მესამოცდაათე წლების ჩაითრია და ეგნ. იოსელიანის, მ. ყიფიანის და ალ.

ნანეიშვილის მეთაურობით შევიდენ ამ მოძრაობის ფარგალში.

მეთხმოდე წლებში თვალსაჩინო გახდა ქართველ თავად-აზნაურობის ეკონომიური დაქვეითება და ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით თავის მიზნად დაისახა ამ წოდების ინტერესების დაცვა, მისი ეკონომიურად გაღონიერება სათავად-აზნაურო ბანკის და სხვა წვრილმალნი საშუალებებით.

ამავე დროს ბატონყმობის დაცემას მოყვა კაპიტალისტურ მეურნეობის აღორძინება თფილისში, ქიათურა-ტყიბულში, ფოთსა და ბათუმში.

მუშები კაპიტალისტთა წინააღმდეგ ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებიდან სტიქიურ გაფიცვებს ახდენდენ. 1872 წ. თფილისში მიწნევის საფეიქროში ხელფასის დაკლებამ გამოიწვია მუშათა გაფიცვა, რაც მუშათა დამარცხებით დამთავრდა. 1878 წ. ზეიცერის სადურგლო ფაბრიკაში 14 საათის სამუშაო დღის ნაცვლად შემოიღეს ხელფასის დაუმატებლად 17 საათის, რამაც გაფიცვა გამოიწვია, პოლიცია ჩაერია და რამდენიმე მუშა დააპატიმრა, შეტაკების დროს ერთი მუშა მოკლეს. მუშათა მოთხოვნა, 14 საათის სამუშაო დღე, დააკმაყოფილეს. ეკონომიური გაფიცვები კიდევ უფრო გახშირდა ოთხმოციან წლებში. ამის ზეგავლენით 80-90-ან წლებში მუშა ხელოსნებსა და მოწაფეებს შორის მოეწყო საიდუმლო წრეები, რომელთაც გაიჩინეს არალეგალური წიგნთსაცავი, ეცნობოდენ რევოლიუციონურ მოძრაობას, სცემდენ დროგამოშვებით არალეგალურ ხელნაწერ ორგანოებს, სადაც წერდენ მუშების—მშრომელი ხალხის გაჭივრებულ მდგომარეობაზე. ამ რიგათ, საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო: თავად-აზნაურობა და მისი მომხრე ინტელიგენცია რეაქციონურ გზას დაადგა, ხოლო ხალხის შუა გულში რევოლიუციონური სულიკვეთება მომზადდა და ბრძოლის გზას ეძებდა.

2. სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსება.

ასეთ დროს სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა ახალი ჯგუფი, რომელმაც ქართველთა საზოგადოებრივ აზროვნებაში დიდი რევოლუტია მოახდინა.

1892 წელს, დეკემბრის მიწურულში, დაბა ზესტაფონს მოგროვდენ: ნოე ჟორდანიას, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ეგნატე ინგოროყვა-ნინოშვილი, ეგვენი ვაწაძე, მიხა ცხაკაია, იოსებ კაკაბაძე, რაჟდენ კალაძე, დიმიტრი კალანდარიშვილი, ისიდორე რამიშვილი, არსენ წითლიძე და ისიდორე კვიციარიძე *) და ურთიერთ შორის მსჯელობენ, თუ რა გზით შეიძლება მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა. ამ კრებაზე ვერ შეთანხმდენ და სამოქმედო პროგრამის შედგენა მიენდო ნოე ჟორდანიას.

1893 წლის დასაწყისში (თებერვალი) ქალაქ თფილისში საიდუმლო ბინაზე მოგროვდა ზემო ნახსენები ჯგუფის უმრავლესობა და ნ. ჟორდანიამ წაიკითხა თავისი პროექტი სამოქმედო პროგრამის, რომელიც საერთოდ მიღებულ იქნა და შემდეგ (1894) კიდევაც დაიბეჭდა ეჟურნალ «მოამბეში». პროგრამას საფუძვლად ედო შემდეგი დებულება: «1, ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; 2, თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა, როგორც ხელ-შემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევათ და როგორც უახლოვესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა; აქედან, 3, ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თვითეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქმნას ეკონომიურ ნიადაგზე...

*) სილიბისტრო ჯიბლაძეს, კახეთში ყოფნის გამო, ამ კრებაზე მოსვლა დაავიანდა, მოვიდა გათავებისას.

«ესევე აზრი შეიძლება გამოიხატოს კიდევ ამნაირათ: I, ეკონომიური კეთილდღეობა—როგორც უმთავრესი პირობა ადამიანთა ბედნიერებისა; II, ვაჭრობა და წარმოება—როგორც ძველი კარჩაკეტილი ცხოვრების დამარღვეველი და ერის და კაცობრიობის გამაერთიანებელი ძალა (პროგრესიული მოვლენა). ა) ერის და თვითეული პირის თავისუფლება—როგორც საუკეთესო საშუალება მეორე მუხლში მოხსენებულ სურვილის განსახორციელებლათ; აქედან, III—გაძლიერება ბურჟუაზიული წესწყობილებისა და უმრავლესობის ნივთიერათ გაღარიბება, ადგილ-მამულის ხელიდან გაცლით და უმცირესობის ბატონობით (რეგრესიული მოვლენა); IV, გადარიბებული ნაწილის შეკავშირება და პირველ მუხლში მოხსენებულ სურვილისკენ მიმართვა—როგორც პირდაპირი იარაღი კეთილდღეობის მოპოებისა (პროგრესიული მოვლენა).

«ყველა ეს მოვლენანი ასე რიგ-რიგათ არ ხდებიან ცხოვრებაში. ისინი ერთმანეთში არიან არეულნი და ხშირათ ერთათ მოქმედებენ» *).

ამ გუნდს «მესამე დასი» ეწოდა. ის ფართო საზოგადოების წინაშე წარსდგა ამ გვარი სამოქმედო პროგრამით 1894 წ. 7 ს მაისს, გუნდის ერთ დამაარსებელ, ქართულ ლიტერატურაში კარგათ ცნობილ, ბელეტრისტის ეგნ. ინგოროყვას-ნინოშვილის დასაფლავების დღეს. სილიბისტრო ჯიბლაძემ ცხედრის წინაშე ფართული გუნდის მოძღვრება და სამოქმედო პროგრამა ასე დაახასიათა: «ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალს, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით—ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელი,

*) იხილეთ ნ. ყორდანიას «რჩეული ნაწერები», თფილისი 1911 წ. გვ. 57 და მისივე თხზულება ტომი I, თფილისი 1920 წ. გვ. 71 და 72.

მეორე მხრით—მუქთა ხორა ბურჟუა კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი—დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი სად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგა ხანია ჩატეხილიცაა. აი სად ირღვევა უფსკრული და ბევრგან კარგი ხანია გარღვეულიცაა. ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთის მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ქამთავითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღვწიან და უნდა იღვწოდნენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი თაობისა»^{*)}.

ამით კლასთა ბრძოლის პრინციპი მთელი საზოგადოების წინაშე გადაშლილ იქნა.

ამ ნიადაგზე ძველსა და ახალ თაობას შორის მწერლობაში და საზოგადოებაშიაც მწვავე დავა და ბრძოლა ატყდა. მოწინააღმდეგეთ ნ. ჟორდანიამ დასარღვევათ წარუდგინა შემდეგი თეზისები:

«I ცხოვრება წარმოდგენს ერთ დიდ პროცესს, განვითარებას, ყველა მისი მოვლენა უნდა განიხილოს ერთი-მეორის ურთი-ერთობაში.

II. ეროვნული განვითარება ნიშნავს—ეკონომიურ განვითარებას. ეს იხატება შემდეგში: ძველი პატრიარქალური წარმოება ირღვევა და მის ალაგას დგება კაპიტალისტური. კაპიტალი გროვდება ერის გულში სხვა-და-სხვა ხერხით, მოტყუებით, ძალ მომბრეობით, უკანონო კანონიერობით. ეს ფული გადადის წარმოებაში და იზრდება მუშის ძალღონით, სრულიათ კანონიერათ. ამას წინ ელოდება ძველი პოლიტიკური წყობილება.

III. ეკონომიური განვითარება ერს ყოფს დასებათ და ახდენს პოლიტიკურ ცვლილებას. ახალი პოლიტიკური ფორმა თავის მხრივ აძლიერებს ეკონომიურ წარმართებას და ამწვავეებს დასთა ბრძოლას.

^{*)} იხ. «კვალი» № 22. 1894 წ.

შენიშვნა—ვერც ერთი ხალხი ვერ ევროპიელდება გონებით, პოლიტიკურაო, თუ ის ვერ ევროპიელდება ცხოვრებით, ეკონომიურაო.

IV. მოწინავე ქვეყნებში (ინგლის საფრანგეთი) ამ ცვლილების ინიციატორი იყო ბურჟუაზია. უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში კი მუშა ხალხია, ხოლო ინტელიგენცია არასოდეს.

შენიშვნა—ხალხის ცხოვრების შეცვლა-გაუმჯობესობა შეუძლია მხოლოდ ხალხს და არა მის მალა მდგომ ინტელიგენციას.

V. ეს ახალი ხანა ერთიანათ აშენებულია ქალაქურ ცხოვრებაზე. ეს მოქალაქობრივი ხანაა. სოფელი ქალაქდება.

VI. ამისათვის ერის ყოველგვარ აღორძინებაში პირველ როლს ქალაქი თამაშობს. რამდენათ რაიმე საერთო საქმეს ქალაქი მეთაურობს, იმდენათ ის ძირმომავარებული და ცნობიერია. სოფელი ქალაქს მისდევს.

VII. ჩვენი ქვეყანა უკვე ჩადგა მოქალაქობრივ ხანაში. ეს იხატება პატრიარქალურ წყობილების რღვევაში და კაპიტალისტურის დამკვიდრებაში. ქართველი ხალხის ცხოვრება ევროპიელდება.

VIII. გაევროპილება წარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა—აი რა წერია ახალ დროშაზე. ამის ამოკითხვა და ხალხის შეგნებაში გადატანა—ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა^{*)}.

ნორჩი პროლეტარიატი და დემოკრატია ამ ახალი მოძღვრების ფერხულში ჩაება. 1895 96 წ.წ. სილ. ჯიბლაძის ხელმძღვანელობით დურგალი ვ. ცაბაძე,

^{*)} იხ. ნ. ყორდანი «რჩეული ნაწერები» თფილისი 1911 წ. გვერდები 112, 113 და 114 და მისივე თხზულება ტომი I. თფილისი 1920 წ. გვ. 143-144.

ზენკალი არ. არავიაშვილი, მემანქანე კალ. გოგუა, ასოთ-ამწყობი ვლ. მგელაძე, მბეჭდავი ერას. ჩანტ-ლაძე, ჟურნალისტი სევ. ჯუღელი, ვლ. კეცხოველი და სხვები შეუდგენ მუშათა საიდუმლო წრეების მოწყობას და მათ შორის სოციალ-დემოკრატიული აზრების სიტყვიერად გავრცელებას.

აღორძინებული მუშათა ჯგუფები პროფესიის მიხედვით ერთი მეორეს გადაესკვნა, ფარული ჯგუფის თითოეული წევრი პარტიული ორგანიზაციის კასისტვის ხელფასის 2 ნახ. პროც. იხდიდა და ეს წესადაც დაინერგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ხელმძღვანელი ორგანიზაციების ძირიდან არჩევა. არავითარი დანიშვნა მაღლიდან—ი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციების წყობადლიდან დაარსებისა. პარტია მუშათა თვითმოქმედებაზე აეგო და ამიერ-კავკასიაში მისი კონტიგენტი საქართველოს მუშებისაგან შესდგებოდა.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია თავის აზრების გასავრცელებლად მუშაობდა როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ ასპარეზზე. სოციალ-დემოკრატები ერთის მხრით ათავსებდენ მარქსისტულ წერილებს ლეგალურ ჟურნალ «კვალში», რომელიც შემდეგ პარტიამ საკუთრებათ შეიძინა, და მეორე მხრით, სცემდენ არალეგალურ ფურცლებს, პროკლამაციებს და ბროშურებს, ხოლო შემდეგ გაზეთებსაც. პირველი დაბეჭდილი პროკლამაცია ქართულად 1899 წელს გამოიცა. ეს იყო პირველი სოციალ-დემოკრატიული პროკლამაცია არა მარტო თფილისისათვის, არამედ, საზოგადოდ, ამიერ-კავკასიისათვისაც. იგი ენებოდა მუშების დღესასწაულს, პირველ მაისს, და ურჩევდა მათ ევროპის მუშებთან შეერთებას^{*)}. მრავალ რიცხოვან საიდუმლო წრეში

*) პროკლამაცია დაწერილია ნ. ყორდანიას მიერ.

მუშები ეცნობოდნენ თანამედროვე სოციალისტურ აზრებს, მაგალითად, კლასთა ბრძოლა, ზედმეტი ღირებულება, მუშათა სოლიდარობა, მიმდინარე პოლიტიკის მოთხოვნილება და სხვა.

პარტია აღორძინების დღიდანვე აერთებდა მუშათა მიმდინარე ეკონომიურ მოთხოვნილებებს პოლიტიკურ მოთხოვნებთან და ამ გზით დარაზმულ მუშებს აყენებდა სოციალიზმის დროშის ქვეშ. პარტიის უახლოესი პოლიტიკური მოთხოვნილება გახდა თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება.

ორგანიზაცია თავის წარმომადგენლებს გზავნიდა ფართო საზოგადოებრივ დაწესებულებაშიაც, როგორც არის ქალაქის თვითმართველობა, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება და სხვა. პირველად 1898 წ. ორგანიზაციამ კარლო ჩხეიძე ბათუმის ქალაქის ხმოსნად გაიყვანა.

როცა თფილისის ყველა დარგის მუშებში საიდუმლო ჯგუფები თვალსაჩინოდ გამრავლდა და შეკავშირდა, დაარსდა 1898 წელს თფილისში მუშათა პირველი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, რომლის წევრები იყვნენ: სილ. ჯიბლაძე, სევ. ჯუღელი, ალ. შატილოვი, ვასო ცაბაძე, დიმ. კალანდარიშვილი, რაქ. კალაძე, ზაქ. ჩოდრიშვილი, არაქ. ოქუაშვილი და მიხ. ბოჭორიძე.

ახლად დაარსებულმა მუშათა სოციალ დემოკრატიულმა კომიტეტმა საერთაშორისო მუშათა დღესასწაული, პირველი მაისი, 1899 წელს თფილისში ქალაქს გარედ პირველად იდღესასწაულა, რასაც დაესწრო 75-100 მუშა პარტიის ორგანიზატორები, წაკითხულ იქნა ზემონახსენები პროკლამაცია, წარმოითქვა დღესასწაულის შესაფერი სიტყვები და სარეველიუციო სიმღერებით დაიშალენ. ამ დღესასწაულმა საიდუმლო წრეებს გარეშე მყოფი მუშები

მეტად დაინტერესა, მათ შორის საყვედურიც კი გაისმა: «რატომ ჩვენც არ ჩავგვრიეთ ამ საქმეში»-ო. მუშათა ცნობის მოყვარეობა გააორკეცა, საიდუმლო წრეები მათ შორის სოკოსავით გამრავლდა. ასეთივე დღესასწაული თფილისის პროლეტარიატმა მეორე წელსაც (1900) ორ ადგილას გადაიხადა ქალაქ გარედ რვა ვერსის მანძილზე, სადაც თავი მოიყარა 500-600-მდე მუშამ. წითელი დროშა მარქსის, ენგელსის და ლასალის სურათით ხის ტოტზე ფრიალებდა. გზებზე ყავდათ დაყენებული რამდენიმე დარაჯი ცხენებით, რომ პოლიციელთა მოახლოება მოედგასწაულეთათვის სწრაფად ეცნობებინათ. წაიკითხეს წინა წელს, პირველ სამაისოდ, გამოშობილი პროკლამაცია, რამაც აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი^{*)}. მუშებმა აქვე გადასწყვიტეს: მეორე წელს პირველი მაისის თფილისის ქუჩაზე დღესასწაულობა.

1899 წელს თფილისის რკინის გზის მუშათა დიდი გაფიცვა მოხდა წინააღმდეგ გზათა მინისტრის ცირკულიარისა, რაც მუშებს და წვრილ მოხლეებს ძლიერ ავიწროებდა. გაფიცვა მუშებმა მოიგო, მინისტრმა ცირკულიარი უკან წაიღო და მთელი რუსეთის იმპერიისათვის ძველი წესების ძალაში დარჩენა გამოაცხადა. ამრიგათ, თფილისის მუშებმა ერთსულოვანი გაფიცვით მთელი რუსეთის რკინის გზის მუშების ინტერესები დაიცვეს. მეორე წელს (1900) მოხდა იმავე რკინის გზის მუშების ძლიერი გაფიცვა, რაც გათავდა დამარცხებით, მაგრამ ამ დამარცხებამ მუშებს აშკარად დაანახვა: სანამ თვითმპყრობელობა არ დაიმხობა, მანამდის მუშათა საქმის წინ სვლა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესობა შეუძლებელია. ამ გაფიცვის საწინააღმდეგოდ მთავრობამ მთელი თავისი ძალა აამოძრავა, მრავლად დატუსაღებული საუკეთესოდ მომზადებული მუშა თავთა-

*) ეს პროკლამაცია 1900 წ. მეორედ გამოიცა.

ვიანთ სოფლებში პოლიციის მხედველობის ქვეშ დაარჩია. სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა მრავალი პროკლამაცია, რამდენიმე არალეგალური წიგნაკი დასტამბა და გაავრცელა. იმავე წელსვე მოხდა კონკის კონდუქტორების და მეჯინიბეთა გაფიცვა, ამას ზედ დაერთო თუთუნის ფაბრიკაში, სტამბებში და სხვადასხვა ქარხნებსა და ფაბრიკებში მომუშავეთა გაფიცვაც. ერთი სიტყვით, მუშათა მოძრაობა ფარულ კალაპოტიდან გადმოვიდა და პროპაგანდაც აგიტაციით გადაიქცა.

ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ მუშებმა 1900 წელს გადაწყვიტეს მომავალი მუშათა დღესასწაული, პირველი მაისი, 1901 წელს თფილისის ქუჩაზე იდღესასწაულონ. სოც.-დემოკრატიული კომიტეტი 1901 წ. ქართულ და რუსულ ენაზე დაბეჭდილ პირველი წმინდა პოლიტიკური პროკლამაციით პროლეტარიატს იწვევს ქუჩაში სამაისო დემონსტრაციის მოსახდენად. ხელისუფლება მომავალი დემონსტრაციის თავიდან აცილებას დატუსაღებით ცდილობს: გაჩხრიკეს ყურ. «კვალის» რედაქცია, შეიპყრეს მუშები და ინტელიგენტებიც, მაგრამ მიუხედავად სასტიკი წინასწარი ზომებისა 22 აპრილს (1901) თფილისის მოედანზე, მრავალრიცხოვანი მუშა მოგროვდა, ააფრიალა წითელი ბაირალი და მუშების ხმა გაისმა: «ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას!»-ო. მუშებსა და ჯარს შორის შეტაკება მოხდა, დაიჭრა და გაილახა ბევრი დემონსტრანტი, მუშა მეუწნაგრე ლ. მამალაძემ რევოლუციის ტყვიით დაჭრა პოლიციელი, მრავალნი დაატუსაღეს, რამდენიმე მუშა რუსეთში ადმინისტრაციულად გადაასახლეს. ამ დემონსტრაციამ ხელისუფლება გააბოროტა, მიძინებულ «საზოგადოება» განცვიფრებაში მოიყვანა, პირველმა არ დაიყოვნა ყურ. «კვალის» ფაქტიური რედაქტორის ნ. ყორდანიას და თანამშრომელთა დაპატიმრება. მთავრობის რეპრესიებმა

მუშები ვერ დააშინა, მოძრაობა უფრო გაძლიერდა, თფილისიდან სწრაფად ქალაქად და სოფლად გადავიდა. ერთი სიტყვით, ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის ოფიციალური წელთაღრიცხვა ამ ფრიად შესანიშნავ დემონსტრაციის დღიდან იწყება.

მუშათა მოძრაობა ქალაქად და სოფლად თფილისიდან გავრცელდა და ეს მოხდა ასე: 1900 წელს ზოგი მოწინავე ქართველი მუშა და ინტელიგენტიც, მუშათა გაფიცვის გამო, პოლიციას უნდა მორიდებოდა. ამიტომ ზოგი ბათუმში და ზოგიც კი ბაქოში გადავიდა. ბაქოში მუშების უმრავლესობა სომხები და თათრებია, მათ შორის, ჩამორჩენილობის გამო, პირველიდან მუშათა წრეების მოწყობა ფრიად გასაჭირი გახდა, ამიტომ აქ მიმართეს რკინის გზის მუშებს, რომელთა შორის ბევრი იყო ქართველები, და მათ შორის დაარსეს მუშათა წრეები, რაც სხვა ეროვნების მუშებსაც გადაედო და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები შეიქმნა. პირიქით, ბათუმში, სადაც ცხრამეტელი ქართველი მუშები იყო, უმეტესად გურულები, მუშათა ორგანიზაციის მოწყობა ადვილი გახდა.

1902 წელს თებერვალში ბათუმში მოხდა ყველა ქარხნების მუშათა გაფიცვა. მუშებს შეტაკება მოუვიდათ პოლიციელებთან და ჯართან. შეტაკების დროს მოკლეს 12 მუშა. იმავე ქალაქში 1903 წელს, მუშათა გაფიცვის წლის თავზე, მოხდა საყოველთაო გაფიცვა და დემონსტრაცია. ამავე წელს ზაფხულში ბაქოში დაწყებული მუშათა გაფიცვა ამიერ-კავკასიას მოედო. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები იმავე ხანებში ქიათურაში, იმერეთ-სამეგრელოში დაარსდა. ხოლო პირველიდან ბათუმის კომიტეტი გურიის გლეხთა მოძრაობას ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი დაარსდა (1903) გურიის გლეხთა კომიტეტი, რომელიც გლეხთა მოძრაობას სათავეში ჩაუდგა.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ პროპაგანდა-აგიტაცია ჯარშიაც გადაიტანა, ჯარისკაცთა გაწვევის დროს (1903) გურიაში მოხდა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია; რუსეთ იაპონიის ომის დროს (1904) პარტიის ხელმძღვანელობით ბათუმში, სადაც მთავრობა პატრიოტულ მანიფესტაციას ეპირებოდა, მრავალი მუშა მოგროვდა მანიფესტაციისათვის დანიშნულ ადგილს, წითელი დროშა ააფრიალა და ომის საწინააღმდეგო ლოზუნგები გადაისროლა.

3. გლეხთა მოძრაობა.

ბატონ-ყმობის გაუქმებამ გლეხს მისცა პირადი თავისუფლება, მაგრამ ეკონომიურად იგი მემამულეთა თვითნებობის კლანჭებში დატოვა. გლეხკაცობის 13 პროცენტს გათავისუფლების შემდეგ მიწა სავსებით წაართვეს, ხოლო დანარჩენთა მიწათმფლობელობა ნახევრად შეამცირეს. მეოცე საუკუნის დასაწყისში თითო სულ გლეხზე აღმოსავლეთ საქართველოში 0,4 დესიატინა მიწა, დასავლეთში 0,3 და სოხუმის ოლქში 0,6 მოდიოდა, მთელ საქართველოში კი 0,4 სახნავ-სათესი. განსაკუთრებით მძიმე იყო «დროებით ვალდებულ» გლეხთა მდგომარეობა. ისინი იხდიდნენ მემამულის სასარგებლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ნახევარ დესეტინაზე სამს მანეთს, ხოლო დასავლეთ საქართველოში ქცევაზე. ასეთი იყო საქართველოს გლეხთა საერთო მდგომარეობა: მოკლებული საკმაო საკუთრებას ის ნახევარ პროლეტართა ლაშქარს წარმოადგენდა და ამიტომ იძულებული იყო სამრეწველო ცენტრებში — თფილისი, ქიათურა, ფოთი და ბათუმი — განსაკუთრებით ზამთრობით, მუდმივი ან დროებითი სამუშაო ეძებნა.

ამავე დროს გლეხის უფლებრივი მდგომარეობაც მეტად მძიმე იყო. სახელმწიფო და საერობო გადასახადები აწვა მართლთ გლეხკაცობას, სახალხო სკოლებს ისინი ინახვიდენ, მხოლოდ და მხოლოდ გლეხი გაყავდათ გზების თუ სხვა სახელმწიფო და საზოგადო მუშაობის ბეგარაზე. სხვა წოდებანი გადასახადისა და სხვა ვალდებულებათაგან სრულიად თავისუფალი იყვნენ.

საქართველოში მუშათა გაფიცვების შემდეგ, როცა მუშები მთავრობამ თავიანთ სოფლებში გადაასახლა, ამით რევოლუციური მოძრაობა ქალაქიდან სოფელშიაც გადავიდა. მუშებმა ქალაქებში შექმნილი ცოდნა და ბრძოლის მეთოდი—გაფიცვა, მემამულეთა წინააღმდეგ გამოიყენეს.

გლეხთა მოძრაობა პირველად დაიწყო ყველაზე უფრო განვითარებულ და კულტურულ კუთხეში—გურიაში. პირველიდან ამოდრავდენ სოფ. ნიგოთის და უნაგერას (სუფსა) გლეხები. დაარსეს არალეგალური წრეები, ავრცელებდენ სოციალ-დემოკრატიულ პროკლამაციებს და წიგნებს. შემდეგ მიემხრო ჩოჩხათი, მიქელ-გაბრიელი, ხვარბეთი და მთელი დასავლეთი გურია. დასავლეთს მოყვა აღმოსავლეთი და თითოეულ სოფელში დაარსდა მოწინავეთა წრე, რომელიც პრაკლამაციებს და წიგნებს ავრცელებდა, იწვევდა კრებებს და მოყავდა პროპაგანდისტი...

სოფ. მიქელ-გაბრიელის გლეხებმა პირველმა შეიმუშავა შემდეგი მოთხოვნილება:

«1) დაწვეა არსებულ რენტის: მემამულეს მოსავლის ერთიმეათედი, რაც თვითონ უნდა წაიღოს თავის სახლში;

2) დათხოვნა ძველი მოურავებისა და მათ ალაგას დანიშვნა ხალხის მიერ არჩეულებისა;

3) შემცირება საბალახოს რენტის;



- 4) გაუქმება «სალეჟრობოსი» *);
- 5) მოსკობა მემამულეთა დავისა დროებით ვალდებულ გლახთა მიწების დასაჩემებლად ატეხილისა;
- 6) გზების კეთება გლახებთან ერთად დავად-აზნაურების მიერაც;
- 7) გაუქმება ღვდლის «დრამის ფულისა» (კომლზე 2 მანეთი წელიწადში, გარდა ჯამაგირისა);
- 8) დანიშვნა ნიხრისა დამარხვის, ჯვარის წერის, მონათვლის, ზიარების და წირვისათვის;
- და 9) გაუქმება არაყის გამოხდის აქციზისა.

აი, ეს მოთხოვნილება განდა სხვა სოფლების მოთხოვნილებაც. ამას ზედ დაურთეს «ბოიკოტის» გამოცხადება მემამულეთათვის, რომლებიც ამ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებდენ.

გლახთა მოძრაობის ხელმძღვანელობა სოციალდემოკრატიის მიერ განდა სადავო საგნათ პარტიაში: ერთნი გლახთა მოძრაობის მეთაურობას სოც.დემოკრატიის საქმედ არ ცნობდენ, მეორენი გლახთა მოძრაობის პარტიის მიერ მეთაურობას ქადაგებდენ. უკანასკნელმა აზრმა პარტიაში საბოლოოდ გაიმარჯვა.

• გლახთა მოძრაობის წინააღმდეგ მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო. ბევრი გლახი დაატუსაღეს და მათ შორის მომუშავე სოციალდემოკრატები, სოფლად კი ჯარის ნაწილები ჩააყენეს.

სოციალდემოკრატიული პარტიის პროპაგანდა-აგიტაციის გავლენით გლახთა მოძრაობა 1903 წ. ჯერ გურიის მოსაზღვრე სამეგრელო-იმერეთს მოედო. შემდეგ თანდათანობით 1904 წ. თფილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით ქართლ-კახეთშიაც მოძრა-

*) «სალეჟრობო» ეწოდება იმ გადასახადებს, რომლებსაც გლახი რენტის გარდა იხდის ქვევანზე— ერთ მანეთს ფულად, ძღვენი და მოსაკითხი ბატონს და მოურავს.

ობა დაიწყო. რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთშიაც მზგავსი ორგანიზაციები აღორძინდა და ამრიგათ მთელი საქართველოს გლეხ-კაცობამ სოც.-დემოკრატიის დროშის ქვეშ თავი მოიყარა.

1905 წ. რევოლიუციის დაწყებისათანავე გურიის გლეხკაცობამ გურიის სოციალდემოკრატიული კომიტეტის მეთაურობით მთავრობას და მის დაწესებულებებს «ბოიკოტი» გამოუცხადა. ხალხმა მთავრობის სასამართლოს ნაცვლად სახალხო სასამართლო შემოიღო და თვითმპყრობელობის აპარატი გარიყა. თვითმპყრობელობა შეეცადა დაწყებული რევოლიუციის ძალით ჩაქრობას. რუსეთ-იაპონიის ომის ველზე რუსის ჯარის დამარცხებამ მოძრაობის ტალღები უფრო გააძლიერა და ხელისუფლებამ ამის გამო განიზრახა გლეხთა მოთხოვნილებების მოსმენა და ამ მიზნით გურიას მეფის მოადგილის თანაშემწე სულთან-კრიმ-გირეი ვაგზავნა. გლეხკაცობამ თავის მიტინგზე მას წარუდგინა შემდეგი მოთხოვნილებანი: საკმაო მიწა, საუფლისწულო მამულების გლეხთათვის გადაცემა, მემამულესთან მუშაობის დროს ხელფასის მოწესრიგება, დრამა ფულის მოსპობა, დაგროვილი გადასახადებისაგან გათავისუფლება, წართმეული იარაღების დაბრუნება, მოძრაობისათვის დატუსაღებულთა ამნისტია, დახურული სახალხო ბიბლიოთეკების გახსნა, სიტყვის, კრების, კავშირების, რწმენის თავისუფლება და სხვა.

მოძრაობა გურიიდან მთელ საქართველოს გლეხკაცობას შოვდო.

[Faint, illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page.]

4. ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიკა კავშირი.

სოციალდემოკრატიული მოძრაობის გაფართოებით წამოიჭრა ორი ორგანიზაციული საკითხი: გაერთიანება სრულიად რუსეთის სოც.-დემ. პარტიასთან და გაერთიანება ამ.-კავკასიის ყველა სოც.-დემ. ორგანიზაციების და ერთი ადგილობრივი საოლქო ცენტრის შექმნა. პირველი საკითხი პარტიამ გადაწყვიტა დადებითად 1902 წლის დასაწყისში, მხოლოდ სისრულეში მოიყვანა 1903 წლის ბრიუსელ-ლონდონის კონგრესზე, როცა ჩვენი ორგანიზაციები რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიაში მთლიანად შევიდნენ ავტონომიურ საფუძველზე.

მეორე საკითხის შესახებ მოხდა განსაკუთრებული ყრილობა 1903 წ., მარტში, თფილისში. ყრილობას დაესწრნენ წარმომადგენელი ყველა არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის — თფილისი, ბაქო, ბათუმი და სხვა. ყრილობამ დაადგინა: დაარსება ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა კავშირის, რომ კომიტეტები ურთიერთშორის დაკავშირებულიყო და ცალ-ცალკე არ ემოქმედათ. კომიტეტები «კავშირის» დაუკითხავად ადგილობრივ პარტიულ საქმეებს განაგებდნენ, თვით «კავშირი» კი პრინციპიალურ და ტაქტიკურ მათ შეცდომებს ასწორებდა და ზრუნავდა მთელი მოძრაობის ერთ კალაპოტში მოთავსებას; მის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გამოცემა.

ამასთანავე ყრილობამ მოიწონა სოფლად სოც.-დემოკ. მუშაობა, აგრეთვე აგრარული პროგრამის პროექტი, რომელიც ითხოვდა სახაზინო-საუფლისწულო და მსხვილ მემამულეთა მიწა-ადგილების კონფისკაციას ხალხის სასარგებლოდ. ხოლო ეროვნულ საკითხში ამიერ-კავკასიისათვის თფილისში ადგილობრივ პარლამენტის დაარსებას.

5. ბოლშევიზმი და მენშევიზმი.

1903 წელს ლონდონს მოხდა სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, სადაც ნაცვლად შეერთებისა, რაც ყრილობის მიზანს შეადგენდა, მოხდა პარტიაში უდიდესი გათიშვა. წარმოიშვა ბოლშევიზმი და მენშევიზმი. საზღვარგარედ გაიმართა იმისი პოლემიკა რუსულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში. კავკასიის საკავშირო კომიტეტმა, რასაც ახლათ გაბოლშევიკებულები მეთაურობდენ, გადაწყვიტა ეს პოლემიკა პარტიულ ორგანიზაციებისათვის არ გაეცნო და მათ სადისკუსიოთ არ გაეხადათ. ეს საკითხი პარტიის წინაშე გადაიშალა მხოლოდ 1905 წლის დასაწყისში, როცან. ჟორდანია საზღვარ-გარეთიდან იდუმლად დაბრუნდა და იქ არსებული დავა პარტიულ ორგანიზაციაში მსჯავრ დასადებად დასვა. გაიმართა პოლემიკა როგორც წრეებში სიტყვით, ისე ქართულ არა-ლევალურ («სოციალ-დემოკრატი») და ლევალურ («მოგზაური») პრესაში. აი როგორ ახასიათებდა ბოლშევიზმს პარტიული არა-ლევალური ჟურნალი «სოციალ-დემოკრატი». ლენინი წერს: «ყველა ქვეყნის ისტორია მოწმობს, რომ, განსაკუთრებით, თავისი საკუთარი ძალით მუშათა კლასს შეუძლია მხოლოდ შეიმუშაოს შეგნება ტრედ-იუნიონის, ე. ი. რწმენა—აუცილებლად კავშირებად შეერთების, აწარმოვოს ბრძოლა ხაზეინებთან, ეცადოს მუშებისათვის აუცილებლად ესა თუ ის საჭირო კანონები მთავრობას გამოაცემინოს და სხვა»... *)

«აშკარაა, ბოლშევიკთა აზრით, მუშათა მოძრაობა მიილტვის არა სოციალიზმისაკენ, არამედ ბურჟუაზიულ იდეოლოგიისაკენ, ე. ი. მდგომარეობით

*) იხ. ლენინი «ჩტო დელატ» გვ. 20. არალევალური გამოცემა 1902 წ.

მუშათა კლასი უფრო ბურჟუა, ვიდრე სოციალისტი *); ლენინი ამბობს: «სოციალ-დემოკრატიული შეგნება მუშებს არ შეიძლება ჰქონოდა, ის შეიძლება მხოლოდ გარედმიდან შემოტანილიყო... სოციალიზმის მოძღვრება აღორძინდა იმ ფილოსოფიურ, ისტორიულ, ეკონომიურ თეორიებით, რომლებიც შეიმუშავეს შეძლებული კლასის განათლებულმა წარმომადგენლებმა—ინტელიგენციამ. თანადროული მეცნიერული სოციალიზმის დამარსებლები, მარქსი და ენგელსი, ეკუთვნოდნენ, თავიანთი სოციალური მდგომარეობით, ბურჟუაზიულ ინტელიგენციას. რუსეთშიაც, ასე, სოციალ-დემოკრატიის თეორიული მოძღვრება მუშათა სტიქიურ იმოდრობის განვითარების სრულიად დამოუკიდებლად აღორძინდა როგორც ბუნებრივი და აუცილებელი შედეგი რევოლუციურ-სოციალისტურ ინტელიგენციის აზრთა განვითარების» **).

«ამრიგათ, ლენინის აზრით, მუშათა კლასი პოლიტიკურ შეგნებას ღებულობს აბაბონებული კლასის წარმომადგენელ-ინტელიგენციიდან. ეს ცოტაა. მუშათა მოძრაობის დამოუკიდებლად ინტელიგენცია სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას იმუშავებს. იგი თვითონ ქმნის სოციალიზმს და «მიაქვს» მზამზარეული მუშებთან; მუშები კი ბუნებრივ (სტიქიურ) გზას ტოვებენ და მიყვებიან თავის მსხნელს—ინტელიგენციას. ამაშია მთელი «ლენინიზმი» და ამას

*) იხ. ქართული «სოციალ-დემოკრატი» № № 1, 2 და 3. 1905 წლის. ქართულ «სოციალ-დემოკრატიის» უქონლობის გამო ვსარგებლობთ რუსულ ენაზე გამოცემულ «ბოლშინსტვო» ილი «მენშისტვო»? თარგმანი ქართულიდან «სოციალ-დემოკრატიის» № № 1, 2 და 3. 1905 წ. გამოცემა გაზეთ «ისკრას» ქენევა 1905. გვერდები 10, 11 და 27.

**) იხ. ლენინი «ჩტო დელატ» გვ. 20 და 21. *ibid.*

ქადაგებს «ბოლშევიზმი»^{*)}. ამ იდეოლოგიიდან გამომდინარეობს ბოლშევიკური ტაქტიკა და ორგანიზაცია. ამას იგივე ვაზეთი, «სოციალდემოკრატი», შემდეგნაირად ახასიათებს: «ჩვენ შევეცადეთ, გავვერკვია ის საკვირველი მიმართულება, რომელიც ჩვენს პარტიაში აღმოჩნდა და ასე განსხვავდება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მოძღვრებისაგან. მისი იდეალი არის ვიწრო ორგანიზაცია, პარტიაში ბატონობა რამდენიმე პირის, რომელსაც პროლეტარიატი უნდა ემორჩილებოდეს და რომელიც დანიშნავს, ჩაატარებს რევოლიუციას, თან წაიყვანს მორჩილ ხალხს, ჩამოაგდებს მთავრობას, მის ადგილს თვითონ დაიჭერს და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წესებს დაამყარებს»^{**}). ბოლშევიზმის ასე დახასიათებამ თავიდანვე თვალი აუხილეს მუშებს და ამ ნიდავზე გაჩაღდა იდეური ბრძოლა ბოლშევიკ-მენშევიკთა შორის ყველა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. ბოლშევიზმი დამარცხდა და სოციალ-დემოკრატიული რიგებიდან სავსებით გაირიყა. თვითმოქმედების ტრადიციაზე აღზრდილი საქართველოს მუშათა კლასი ბლანკისტურ დიქტატორულ ტენდენციას ვერ შეურიგდა და ბოლშევიზმი საქართველოს სოციალდემოკრატიის სინამდვილიდან სამუდამოდ განიდეგნა. დამარცხებული ბოლშევიზმი საქართველოში გადაიქცა მუშათა მოძრაობის მიერ გარიყულ უმნიშვნელო ჯგუფად, რომლის მოღვაწეობა 1905 წლის შემდეგ მდგომარეობდა უმთავრესად ეგრეთ წოდებულ «ექსპროპრიაციებში», ე. ი. მთავ-

^{*)} იხ. ქართული «სოციალ დემოკრატი» № № 1, 2 და 3. 1905 წ. და აგრეთვე «ბოლშინსტვო» ილი «მენშინსტვო»? გამოცემა «ისკრი»ს. ენევა 1905 წ.

^{**}) 1917 წლის რევოლიუციიდან მოკიდებული ეს უკანასკნელი ნაწილობრივ შესცვალეს კომუნისტური წყობილებით.

რობის კასებზე თავდასხმაში და ფულის გატაცებაში ლენინის ხაზინის გასამდიდრებლად რუსეთში.

ბოლშევიზმის და ბოლშევიკების დამარცხების და მათგან პარტიის გათავისუფლების შემდეგ 1905 წ. აპრილში შედგა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც სამოქმედო გეგმა გამოიმუშავა. იმავე წელს აგვისტოში მოწვეულ იქნა მეორე კონფერენცია და განხილულ იქნა სადღეისო კითხვები: სახელმწიფო დუმაში მონაწილეობის მიღება, აგრარული პროგრამა და სხვა. პარტიამ გადაწყვიტა დიდი მამულების ჩამორთმევა და ადგილობრივ თვითმართველობისათვის გადაცემა (მუნიციპალიზაცია), რაც რუსეთის პარტიის სტოკჰოლმის ყრილობამ (1906) შემდეგში მიიღო.

6. 1905 წლის რევოლუცია.

1905 წ. რევოლუციის დასაწყისში საქართველოს მთელი მუშათა კლასი და გლეხ-კაცობის დიდი უმრავლესობა სოც.-დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ იდგა და ამის გამო საქართველოში რევოლუციამ მწყობრი მსვლელობა მიიღო. ამ ხანში პარტიის ცდით მის დროშის ქვეშ იქნა დაყენებული აგრეთვე ქალაქის წვრილი ბურჟუაზიაც. საქართველოს სოციალ დემოკრატია რევოლუციის მეთაური და ჰეგემონი შეიქნა. მისი მოწოდების თანახმად მთელ საქართველოში, განსაკუთრებით სოფლად და პატარა ქალაქებში, ხალხმა მთავრობას ბოიკოტი გამოუცხადა და მისი დაწესებულებები ფაქტიურად გააუქმა. ხალხი ჩამოშორდა ოფიციალურ სასამართლოებს და პოლიციას და მათ ალაგას მან მოაწყობისი საკუთარი ადგილობრივი მართველობა. იმავე დროს ხალხი არ იხდოდა გადასახადებს: არც სახელმწიფოს, არც მემამულეების და მღვდლებისას, აგრე-

თვე არ ასრულებდა სამხედრო ბეგარას. თვითმპყრობელობა და მისი ხელისუფლება სრულიად გარიყული აღმოჩნდა.

ოქტომბერში იფეთქა საიმპერიო დიდმა გაფიცვამ. მთავრობა იძულებული შეიქნა გამოეცა 17 ოქტომბრის მანიფესტი და ხალხისთვის თავისუფლება აღეთქვა. მეორე დღიდან დაწყებულ სახალხო მიტინგებს ყველგან საქართველოში მხოლოდ სოციალ-დემოკრატია მეთაურობდა.

რევოლიუციის დაწყებისათანავე შეუდგა ხალხი იარაღების ძებნას და ბრძოლისათვის მზადებას. ხალხის ეს მიდრეკილება სოციალ-დემოკრატებმა ორგანიზაციულ კალაპოტში ჩააყენა.

რევოლიუციის მწყობრმა სვლამ კავკასიის ადგილობრივი მთავრობა დააფრთხო, ის ქუჩიდან გაქრა. მის ადგილს წითელი რაზმი იჭერს და წეს-რიგს იცავს. ამ მდგომარეობის საწინააღმდეგოდ რეაქციონურმა წრეებმა თფილისშიაც სცადეს გამოწვევა სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის, რაც ადმინისტრაციის წაქეზებით აზერბეიჯანში და სომხეთში უკვე წარმოებდა. როცა თფილისში თათარ-სომეხთა შორის პირველი კონფლიქტი დაიწყო, სოციალ-დემოკრატია დაუყონებლივ ენერგიულად ჩაერია, აიყოლია საზოგადოებრივი აზრი და კავკასიაში თვით მეფის მოადგილე იძულებული გახდა ეცნო პარტიის ჰეგემონია ქუჩაში და 500 თოფი გადაეცა მისი წარმომადგენლებისათვის მუშების შესაიარაღებლად და წეს-რიგის აღსადგენად.

იმავე წელს 10 დეკემბერს გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა მთელ რუსეთში. ამიერ კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდებით ქალაქად და სოფლად საერთო გაფიცვამ ცხოვრების მაჯისცემა შეაჩერა. ქალაქში და დაბებში აქა-იქ დაბანაკებული ჯარისკაცები და სოფლად «სტრაჟნიკები» განაიარაღეს. რკინის გზას და ტელეგრაფს რე-

ვოლიუციონერები დაეპატრონენ, ქალაქად სანოვაგის მოწეს-რიგება მათ ხელში გადავიდა და საქართველოში ყოველგან თვითმპყრობელობის ძალა უფლება მოისპო.

რუსეთში აჯანყება დამარცხდა. იქიდან კონტრ-რევოლიუციის ტალღა ამიერკავკასიისაკენ გამოეჭანა და დამსჯელი ექსპედიციები სხვადასხვა კუთხეში დაიგზავნა. თვითმპყრობელობამ უკიდურეს ტერორს მიმართა მძლავრი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დასამარცხებლად და დამსჯელმა ექსპედიციამ ქალაქები, დაბა-სოფლები ცეცხლის ალში გახვია, გადაწვა, განუკითხვად და გაუსამართლებლად პატიმართა ხვრეტა დაიწყო. მიუხედავად ამისა რევოლიუციის წლის თავზე (9 იანვარი) 1906 წ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდებით თფილისს და სხვაგანაც საყოველთაო გაფიცვა ერთსულოვნად ჩატარდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძალა და გავლენა რეაქციის დასაწყისშივე გამოიჩინა.

ამავე დროს თფილისის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის დადგენილებით წითელი რაზმის წევრმა მუშა არსენ ჯორჯიაშვილმა კონტრ-რევოლიუციის მეთაურს, რეაქციის სულის ჩამდგმელს და ფაქტიურ სამხედრო დიქტატორს გენერალ გრიანოვს, 17 იანვარს 1906 წელს, ყუმბარა ესროლა და მოკლა.

მთელ რუსეთში რეაქციის სრული გამარჯვების შემდეგ საქართველოში პარტიამ გადაწყვიტა მწყობრათ უკან დახევა და გამომუშავება ახალი ტაქტიკის თანახმად შექმნილი მდგომარეობისა.

7. პარლამენტარული ტაქტიკა.

ახალი მდგომარეობის დამახასიათებელი გარემოება იყო ის, რომ რევოლუციონურმა მოძრაობამ მთავრობა აიძულა სახელმწიფო დუმა დაეარსებია და მასში არჩევნების სახით ხალხის მონაწილეობა ეცნო. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქციამ—ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა, სახელმწიფო დუმაში მონაწილეობა უარყვეს. საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ თავის კონფერენციაზე აგვისტოში (1905) გამოიტანა შემდეგი დადგენილება: რაკი პარტია ჩვენში (საქართველო) იყენებს ყოველნაირ ლეგალურ საშუალებებს თავისი აზრების გასავრცელებლად და ბრძოლის საწარმოებლად, როგორ შეუძლია მას ხელი აიღოს ისეთ დიდ და ფართო საშუალებაზე, როგორცაა «დუმის» არჩევნები და მისი ტრიბუნა. ეს საკითხი პარტიამ დიდი ხანია გადაწყვიტა მით, რომ ვიწრო კონსპირატიულ ჩარჩოს მოშორდა და საჯარო სარბიელზე გამოვიდა. ამიტომ «დუმას» უნდა ჩავებლაუჭოთ და ის რევოლუციის ბერკეტათ გავხადოთ. ეს პოლიტიკა შემდეგ წელს (1906) სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გამაერთიანებელ სტოპოლომის ყრილობამ მიიღო.

რეაქციის ხანაში, 1906 წელს, მაისში, მოხდა საქართველოში დუმის არჩევნები. დეკემბრის დამარცხების შემდეგ საალყო წესები იყო ყოველგან გამოცხადებული. კავკასიის ადმინისტრაცია გამარჯვებას დღესასწაულობდა და ასეთ დროს სახელმწიფო დუმაში ხუთი სოციალდემოკრატი ხალხმა აირჩია. ქალაქ თფილისში, ხმის უმრავლესობით, დეპუტატათ არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატი მუშათა პარტიის ლიდერი ნ. ყორდანი, რომლის თავმჯდომარეობით დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია დაარსდა. ფრაქციაში ქართველ დეპუტატების

გარდა შევიდა რამდენიმე რუსი მუშა, არჩეული რუსეთის სხვადასხვა კუთხეში მუშათა კურიიდან, მიუხედავად რუსული სოციალისტური პარტიების მიერ ბოიკოტის გზაზე დადგომისა. ამით რუსეთის დუმის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას საფუძველი ჩაეყარა. შემდეგ რუსეთის ყველა დუმაში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მეთაურები იყვენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები—მეორე დუმაში არჩ. ჯაფარიძე და ირაკ. წერეთელი, მესამეში—ნიკ. ჩხეიძე და ევგ. გეგეჭკორი, მეოთხეში—ნიკ. ჩხეიძე და აკაკი ჩხენკელი.

თვითმპყრობელობამ 1907 წ. სამი ივნისის კანონით საარჩევნო ცენზი შესცვალა. უპირატესობა მემამულეებს მიანიჭა და საქართველოს წარმომადგენლების რიცხვი სამი დეპუტატით განსაზღვრა. ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად პარტიამ რუსეთის მესამე და მეოთხე დუმაში ორ ორი წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატი გაგზავნა. ყველა არჩეული დეპუტატი სოციალ-დემოკრატი საქართველოდან იყო მენშევიკი. ბოლშევიკებმა კანდიდატიც კი ვერ წამოაყენეს, იმდენად უმნიშვნელო იყო მათი ძალა და გავლენა ჩვენში. სოციალ დემოკრატების ამ ფართო საზოგადოებრივ მუშაობას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მას მუდამ ჰქონდა ყოველდღიური ლეგალური ორგანო, დაწყებული 1905 წლით და გათავებული ბოლშევიკების შემოსვლით, 21 წ. ბრძოლას ლეგალურ პრესისათვის პარტია აწარმოებდა განსაკუთრებული ენერგიით და თავდადებათ.

... თანამედროვეობის მიხედვით ...
-ეტლებდნენ ...
-ან ...
-თქვენთვის ...
-ქონდა ...
-მინდებოდა ...

8. მსოფლიო ომი და 1917 წ. რევოლუცია.

მსოფლიო ომის დაწყებისათანავე 1914 წ. აგვისტოში შეიკრიბა პარტიის კონფერენცია, რომელმაც ომი იმპერიალისტურად მონათლა, თავდაცვის პრინციპი უარყო და ომს ომი გამოუცხადა. პარტია აწარმოებდა პროპაგანდა-აგიტაციას როგორც მშრომელ ხალხში, ისე ჯარში, ბეჭდავდა და ავრცელებდა მოწოდებებს, მაგრამ ამავ დროს უარყოფდა ყოველნაირ ავანტიურას, რასაც შეეძლო ქართველი ერის საფრთხეში ჩაგდება.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ ამიერკავკასიაში მეფის მართვლობა დასცა. საქართველოში ყოველგან რევოლიუციის უდავო მეთაური სოციალ-დემოკრატიული პარტია გახდა. ამიერკავკასიაში დროებით მთავრობამ დანიშნა ადგილობრივი მთავრობა «ოზოკომა» (ოზლასტნოი ზაკავკაზკიი კომიტეტი), რომელშიაც წევრი იყო სოციალ-დემოკრ. დუმის ფრაქციის წევრი აკ. ჩხენკელი. მაგრამ პირველიდანვე მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატთა ხელში გადავიდა. თფილისის მუშათა დეპუტატთა საბჭო განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, ვინაიდან მის ხელში იყო მთელი ფაქტიური ძალა-უფლება. საბჭოს წევრთა დიდი უმრავლესობა ეკუთვნოდა სოციალ დემოკრატიულ პარტიას—მენშევიკებს. რევოლიუცია ითხოვდა: მიწას და ზავს. რევოლიუციის ერთი ფაქტორი—ჯარი, ხანგრძლივი ომით დაღლილი, უკანასკნელს დაჟინებით მოითხოვდა. ამ დროს ჩვენი პარტია მოითხოვდა ერთფეროვან სოციალისტურ მთავრობის შედგენას, მიწის საკითხის გადაჭრას და მშვიდობიანობის აღდგენის დაჩქარებას. პეტერბურგის დემოკრატიულმა თათბირმა ეს აზრი არ გაიზიარა.

ასეთ დროს ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით

ბით შეთქმულობა მოახდინა, დასცეს დემოკრატია, გაამეფეს დიქტატურა და სამოქალაქო ომი დაიწყო. სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის გავლენით საქართველო რუსეთის კომუნისტს და სამოქალაქო ომს არ აყვა და ამრიგათ რუსეთისა და საქართველოს გზები გაიყარა.

9. აშ.-კავკასიის დამოუკიდებლობის გამცხადება.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოს სოციალ-დემოკრატია თავიდანვე, პირველი სამოქმედო პროგრამის მიღებისათანავე, სოციალიზმის გამარჯვების ერთ პირობათ ერის თავისუფლებას აღიარებდა. მაგრამ თავის ტაქტიკას ამ სფეროში იგი უფარდებდა არსებულ კონკრეტულ პირობებს.

დიდმა რევოლიუციამ და შემდეგ ბოლშევიზმის გამარჯვებამ რუსეთში და რუსის ჯარის თავისი ნებით წასვლამ კავკასიიდან ჩვენი ქვეყნისათვის შექმნა სრულიად ახალი მდგომარეობა, რითაც შესაძლებელი გახდა ჩვენი პროგრამის ერთი ძირითადი მუხლის—ერის თავისუფლების განხორციელება.

სამოქალაქო ომით რუსეთში კავკასია ფაქტიურად მას ჩამოშორდა. თერთმეტ ნოემბერს 1917 წელს თფილისს მოწვეულ იქნა რევოლიუციონურ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება, რომელმაც დაადგინა: დაარსება ამიერ-კავკასიის დროებით მთავრობის—კომისარიატის.

რუსის გაბოლშევიკებულ ჯარების თვითნებით დაძვრამ ოსმალეთის საზღვრიდან თფილისის მიმართულებით შექმნა ჩვენში საფრთხე სამხედრო—ბოლშევიკურ გადატრიალებისა. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად თფილისში მუშათა საბჭომ შექმნა მუშათა წითელი გვარდია, რომელმაც აიღო არსე-

ნალი და მით დაეპატრონა ამიერ-კავკასიის საომარ იარაღების მთავარ საწყობს.

რუსის ჯარის მიერ ფრონტის დატოვებამ მისცა საშუალება ოსმალთა ჯარს დაუბრკოლებრივ შესე-
ოდა ამიერ-კავკასიას. ქვეყნის დაცვის უზრუნველ-
საყოფად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
პარტიის დადგენილებით მოწვეულ იქნა 22 აპრილს
1918 წ. ამიერ-კავკასიის სეიმი, რომელმაც გამოაც-
ხადა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა.

ქართველები და სომხები ოსმალთა შემოსევას
იარაღით წინააღმდეგენ, ხოლო ახერბეიჯანელნი მო-
ნათესავე ოსმალთაში თავის მფარველს ხედავდენ
და მისი ჯარის წინსვლას აქა-იქ ხელს უწყობდენ. ამ
გარემოებამ შეარყია სეიმის მუშაობა და ამიერ-
კავკასიის მთლიანობა. საქართველოს სოციალ-დე-
მოკრატიული პარტიის წინაშე დაისვა საკითხი ერის
გადარჩენისა.

10. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

1918 წელს 26 მაისს ამიერ-კავკასიის რესპუბლი-
კა სეიმმა გაუქმებულად გამოაცხადა და ამიერ-
კავკასიის ერები ცალ-ცალკე სახელმწიფოებათ გაი-
მიჯნენ. იმავე დღესვე შეიკრიბა საქართველოს ერო-
ვნული საბჭო სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით
და განსაკუთრებული აქტით საქართველო, ნაშუად-
ღვის ხუთ საათზე და 10 წუთზე, დამოუკიდებელ,
სუვერენულ და ნეიტრალურ დემოკრატიულ რეს-
პუბლიკად გამოცხადდა; მთავრობის თავმჯდომე-
არედ არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი.

ერთი მხრით ოსმალეთი და მეორე მხრით რუსე-
თის კომუნისტები ამ მეტად გართულებულ დროს
ცდილობდნენ ჩამორჩენილ კუთხეში განუვითარებელ

და შეუგნებელ მასის მიმხრობას და ამით სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობით დამყარებულ რესპუბლიკის დანგრევას. ამ მიზნით მათ შემოყავდათ რუსეთიდან საქართველოს განაპირა ნაწილებში შეიარაღებული რაზმები და ადგილობრივ ბოლშევიკური ელემენტების დახმარებით ცდილობდნენ რესპუბლიკის აფეთქებას. მაგრამ რესპუბლიკის გვარდიამ შემოსული რაზმები დაამარცხა და უკუაქცია.

იმავე წელს (1918) დეკემბრის ოთხს ამ.კავკასიის საერთო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დაშლილად გამოცხადდა და ცალ-ცალკე რესპუბლიკებში სოციალ-დემოკრატიული პარტია დაარსდა.

თანახმად პარლამენტის კანონისა პროპოციონალურ სისტემაზე აგებული და საყოველთაო კენჭის ყრით მოხდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები და 12 მარტს 1919 წელს გაიხსნა მისი კრება. თავმჯდომარედ იქნა არჩეული ნიკ. ჩხეიძე, მის უფროსს ამხანაგად ალექ. ლომთათიძე. ამ არჩევნების დროს პარტიის კანდიდატებმა მიიღეს 465.136 ხმა და დამფუძნებელ კრებაში გაიყვანეს 130-ში 102 სოციალდემოკრატი დეპუტატი.

ახალგაზრდა რესპუბლიკას მრავალი მხრით თავს ესხმოდნენ, მარა მიუხედავად ამისა სოციალ-დემოკრატია მშვენივრად გატარება მრავალი რეფორმებისა: დასრულდა ნოე ხომერკის ხელმძღვანელობით აგრარული რეფორმა—ჩამოერთვა მსხვილი, საეკლესიო და საუფლისწულო მამულები, რაც ნორმის მიხედვით უმიწაწყლო გლეხებს მიეცა. საგარეო ურთიერთობაში რესპუბლიკა ცდილობდა ყველა სადაო კითხვის სავალდებულო არბიტრაჟით გადაჭრას. შესაფერი შეთანხმება უკვე დადებულ იქნა აზერბეიჯანთან და უნდა დადებულიყო სომხეთთანაც; შემოდებულ იქნა დემოკრატიული ერობა, ყოველგან საქართველოში დემოკრატიის ნებისყოფის გამომხა-

ტველი ქალაქის თვითმართველობები შეიქმნა. მივარდნილ სოფლებშიაც დაარსებულ იქნა ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი, დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაკანონდა სავალდებულო სწავლა-განათლება; დაკანონდა რვა საათის სამუშაო დღე, დაარსდა სატარიფო პალატა და საავადმყოფო კასები, დაარსდა სენატი, შემოღებულ იქმნა ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტი და სხვადასხვა. დამფუძნებელ კრებამ შეიმუშავა და მიიღო ფართო დემოკრატიულ საფუძველზე კონსტიტუცია. ის აეგო იმ ნიადაგზე, რაც ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკის პრაქტიკულ პოლიტიკას ახასიათებდა. კონსტიტუციის პროექტი, შემუშავებული სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ, პარტიის ყრილობამ წინასწარ განიხილა და მოიწონა.

11. ოკუპაციის შემდეგ პარტიის მდგვაწეობა.

საბჭოთა რუსეთი, რომელმაც, 1920 წელს 7 მაისს, განსაკუთრებული ხელშეკრულებით საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი დემოკრატიული რესპუბლიკა, რუსეთის ჩაურევლობა მის შინაურ საქმეებში უდავოთ აღიარა და იცნო, 1921 წელს თერთმეტ თებერვალს ომის გამოუცხადებლად მას შემოესია. დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავდამსხმელთ გაუწია სასტიკი წინააღმდეგობა, მაგრამ მტრის ურიცხვ ლაშქარს ვერ გაუძლო და ხუთი კვირის ბრძოლის შემდეგ დამარცხდა. დამფუძნებელი კრების დადგენილებით ეროვნული მთავრობა საზღვარ-გარედ გაიხიზნა.

საბჭოთა ჯარების თავდასხმის დროს, თვით ქართველ კომუნისტთა ხელმძღვანელების მოწმობით, საქართველოში მათ არ ჰქონდათ არავითარი ორგა-

ნიზაცია საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდნობი. საქართველოს სოციალ-დემოკრატია კი ამ დროს მეტად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა და ქართველი ერის დიდი უმრავლესობა მას ემხრობოდა. ამით აიხსნება, რომ ოკუპაციის პირველი ორი თვის განმავლობაში, საბჭოთა ხელისუფლება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა და მეთაურთა ლეგალურ ცხოვრებას ითმენდა. 1921 წელს 10 აპრილს თფილისში და 17 აპრილს ქუთაისში მოხდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა საჯარო ლეგალური კრება, რომელმაც გამოიტანა სხვათა შორის შემდეგი დადგენილება: «ჩვენი პოლიტიკური ხაზი ახალ პირობებშია ც საერთოდ იგივე რჩება, როგორც წინეთ იყო. ეს ხაზი გამოიხატება ფორმულით «დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ». საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დღესაც მიაჩნია თავის მოღვაწეობის ერთ-ერთ საფუძვლად. მისი მუშაობა წინანდებურად მიმართული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის გამაგრებისაკენ»^{*)}. ამის შემდეგ იყო ხელისუფლების მიერ რეპრესიების დაწყება. კომუნისტებმა 25 აპრილს პროვოკაცია მოაწყვეს და შინაგან საქმეთა კომისარს ყუმბარა ესროლეს. მთელი ამბავი კი მენშევიკებს გადააბრალეს და სოფლად და ქალაქად დაიწყო სოციალ-დემოკრატების მასიური დაპატიმრება. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (26 მაისი) წელსაც ქართველმა ერმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობით საჯარო დემონსტრაციებით აღნიშნა და მოითხოვა საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა.

1921 წელს 24 ღვინობისთვის თფილისის მუშათა კლასი დელეგაციას ირჩევს და დეკლარაციის გადა-

^{*)} იხ. ქურნ. «თავისუფალი საქართველო» 1921 წ. № 4. გვ. 7.

საცემად საოკუპაციო ხელისუფლებასთან გზავნის. დელეგაცია ითხოვდა: საქართველოს თავისუფლების აღდგენას, ქართული ენის დაცვას, საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანას, პოლიტიკური ტუსალების გათავისუფლებას და სხვა. ხელისუფლებამ პასუხად მუშათა დელეგატები დაატუსადა. ამის გამო პირველ ნოემბერს თფილისის მუშები გაიფიცენ და მიტინგებზე საპროტესტო რეზოლიუციები გამოიტანეს. ამან გავლენა იქონია ქართველ სტუდენტობაზე და იმავე დღეს თფილისის უნივერსიტეტის სტუდენტობაც მუშების პროტესტს შეუერთდა.

1922 წელს თებერვლის 5-ს პარტიის მეთაურის სილ. ჯიბლაძის თავმჯდომარეობით შესდგა არალეგალური კონფერენცია, რომელმაც მთლიანი ფრონტის შესახებ მიიღო დადგენილება: «აწარმოებს რა საკუთარ კლასიურ პოლიტიკას, საქართველოს სოციალდემოკრატია საქართველოსათვის ამ ტრადიკულ და საბედისწერო მომენტში საჭიროთ სთვლის ხელი შეუწყოს მთლიანი ეროვნული სახელმწიფოებრივი ფრონტის შექმნას ერის იმ სასიცოცხლო ძალებიდან, რომელნიც დგანან დემოკრატიულ ნიადაგზე განურჩევლათ ტომისა და რწმენისა, ერთი მიზნით: ერის ფიზიკური, ეროვნულ-კულტურული განადგურებისაგან გადასარჩენათ, რუსეთის ოკუპაციის მოსახსნელად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ»^{*)}.

რუსის ჯარების თფილისში შემოსვლის წლის თავზე (25 თებერვალი 1922 წ.) ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალურ კომიტეტის ხელმძღვანელობით ოკუპანტთა საწინააღმდეგოდ მთელ საქართველოში მოსწავლეთა დემონსტრაციები გაიმართა. იმავე წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლის თავ-

^{*)} იხ. უერ. «თავისუფალი საქართველო» 1922 წ. № 21. გვ. 20.

ზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით მთელი ქართველი ერი სადემონსტრაციო გამოვიდა და საქართველოს განთავისუფლებას ითხოვდა. ხელისუფლებამ დაპატიმრებით და რეპრესიებით უპასუხა.

1922 წელს ნოემბერში მოხდა უპარტიო მუშების კონფერენცია და დაარსდა არა-ლეგალური პროფესიონალური ორგანიზაციათა კავშირი, რომელმაც მუშებს მოუწოდა ოკუპანტებს შებრძოლებოდენ. არა-ლეგალური პროფესიონალური ორგანიზაციები სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენის ქვეშ დადგა და მისი ბრძოლის ტაქტიკა გაიზიარა. ამით პარტია კიდევ უფრო გამძლავრდა და მისი გავლენა ქართველ ხალხის ყველა ფენებზე უდავო გახდა. პარტია სისტემატიურად სცემდა არა-ლეგალურ მოწოდებებს, გაზეთებს და ხალხის ყოველდღიურ კითხვებზე პასუხს აძლევდა და ბრძოლის გზას უჩვენებდა. იმავე 1922 წელს გაზაფხულზე საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში იწყება სტიქიური პარტიზანული გამოსვლები. პარტია ცდილობს ძალების უმიზნო გაფლანგვა და დაქსაქსვა თავიდან აიცილოს და ეროვნულ ბრძოლას შეკავშირებული ხასიათი მისცეს. ამ მიზნით დგება ყველა ანტი საბჭოთა დემოკრატიულ პარტიათა წარმომადგენლების კომიტეტი—საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სახელწოდებით. ამ კომიტეტს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი კონ. ანდრონიკაშვილი თავმჯდომარეობს.

1923 წელს დამსჯელ რაზმის მეთაურის ობოლადის სოფელში მოკვლის გამო თფილისის მეტეხის ციხიდან გამოიყვანეს 92 პოლიტიკური ტუსადი, მათ შორის ცნობილი პარტიული ამხანაგები და გაუსამართლებლად დახვრიტეს. ამ ხანებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გასანადგურებლად ხელისუფლება არავითარ ზომებს არ ერიდება: საპრო-

ბილევებს, ჩეკის სარდაფს ამსებს ტუსალებით, შორეულ ციმბირს და სალოვკაში სოციალ დემოკრატიკულ მუშებს და გლეხებს ურიცხვად გზავნის და განუწყვეტლივ პარტიის წევრებს ხვრეტს. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა პარტიას ერთი წუთითაც კი არ შეუჩერებია მუშაობა.

1923 წ. და 1924 წლის პირველი ნახევარი საქართველოში დიდი რეპრესიების ხანა იყო. ქართველი ხალხის გულში ამ ხნის განმავლობაში დიდი ბოლშევიკური დაგროვდა. მოთმინების ფიალა აივსო, დაბოლოს მუშები და გლეხები იარაღით, თუ უიარაღოთ, საბრძოლველად გამოვიდა და 1924 წ. 28 29 აგვისტოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდა. ხალხის ამ აფეთქებას სოციალ დემოკრატია ორგანიზაციულ ხასიათს აძლევს და ბრძოლას სათავეში უდგება. საქართველოს ტერიტორიის ერთ დიდ ნაწილზე აჯანყებულები გაბატონდნენ, მაგრამ სატანტო ქალაქი თფილისი კი მტერს ხელიდან ვერ გამოაცალეს და ამან გადაჭრა ბრძოლის ბედი. აჯანყება დამარცხდა ამას მოყვა უმაგალითო საშინელი რეპრესიები; ციხეებიდან გამოყავდა, როგორც საქართველოში ისე რუსეთში წინეთ დაჭერილნი ქართველი სოციალ-დემოკრატები და ხვრეტდნენ. ასე დაიღუპნენ პარტიის ცნობილი მუშაკნი ნ. ხომერიკი, ბ. ჩხიკვიშვილი, გ. ფალავა, ვ. ნოდია, ვ. ჯუღელი და სხვები. რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოში დახვრეტილ იქნა 4.000-ზე მეტი მუშა, გლეხი, ახალგაზრდა და საზოგადო მოღვაწენი. ამათგან დიდი უმრავლესობა პარტიის წევრები და მეთაურებია— ვ. ცაბაძე, დ. დვალი, ბ. ცენტერაძე და სხვანი. მიუხედავად პარტიის ასეთი დიდი მსხვერპლისა პარტიის თფილისის კომიტეტის ინიციატივით 28 სექტემბერს 1924 წ. შედგა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც დაადგინა დაშლილი ორგანიზაციების აღდგენა და 1925 წ. ივლისში მოიწვია პარტიის მე-

სამე ყრილობა. მან აირჩია ახალი ცენტრალური ხელმძღვანელი კომიტეტი და ყველა საჭირ-ბორო-ტოკიოხვევებს პასუხი გასცა. ამის შემდეგ პარტიული მუშაობა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. გამოდინდა არა-ლევალური განხეთები, მოწოდებები; ხელისუფლებას ხელში უვარდებოდა არა-ლევალური პარტიის სტამბები, მაგრამ ნაცვლად ახალი იმართებოდა. ოკუპაციის დღიდან პარტიამ 14 არა-ლევალური სტამბა მოაწყო; ათჯერ ხელისუფლებამ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ნაწილობრივ, თუ მთელი შემადგენლობით, დააპატიმრა და იმდენჯერვე აღსდგა იგი და ორგანიზაციას მუშაობა დროებითაც არ შეუჩერებია.

ოკუპაციის ხანაში პარტიამ მოიწვია ხუთჯერ არა-ლევალური ყრილობა და კონფერენცია, უკანასკნელი ყრილობა კი 1930 წელს ზაფხულზე. ყრილობები და კონფერენციები ირჩევდა ხელმძღვანელ ორგანოებს და პარტიის საერთო პოლიტიკას იმუშავებდა. ამ პოლიტიკას ახასიათებს რევოლუციური ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენა, ბრძოლა მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და პარტიულ ორგანიზაციების მჭიდროთ შეკავშირება.

1923 წლიდან პარტიას უცხოეთში ყავს თავისი წარმომადგენლობა საზღვარ-გარეთელ ბიუროს სახით და იგი მუშაობს პარტიის ხელმძღვანელობით.



ს ა რ ჩ ე ვ ი

	83.
1) წინასიტყვაობა	3
2) შესავალი	5
3) სოციალ დემოკრატიული პარტიის დაარსება	7
4) გლეხთა მოძრაობა	16
5) ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატთა კავშირი	20
6) ბოლშევიზმი და მენშევიზმი	21
7) 1905 წლის რევოლიუცია	24
8) პარლამენტარული ტაქტიკა	27
9) მსოფლიო ომი და 1917 წ. რევოლიუცია .	29
10) ამ.-კავ. დამოუკიდებლობის გამოცხადება .	30
11) საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა	31
12) ოკუპაციის შემდეგ პარტიის მოღვაწეობა .	33

11/6/1929

გ ა მ ო ც ე მ ა ნ ი

საქარ. სოც.-დემ. პარტიის სახ. გარ. ბიუროსი.

ქუ რ ნ ა ლ - გ ა ზ ე თ ე ბ ი :

- 1) ქუ რ ნ ა ლ ი — ბ რ ძ ო ლ ა (№№ 1—35).
- 2) გ ა ზ ე თ ი — ბ რ ძ ო ლ ი ს ს მ ა (გ ა მ ო დ ი ს).

წ ი გ ნ ე ბ ი :

- 3) ნ. ყ ო რ დ ა ნ ი ა — ბ რ ძ ო ლ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი .
- 4) მ ი ს ი ვ ე ზ ე ნ და ი ს ი ნ ი .
- 5) მ ი ს ი ვ ე ს ა ბ ჯ ო თ ა წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა .
- 6) მ ი ს ი ვ ე ზ ე მ ი პ ა ს უ ხ ი .
- 7) მ ი ს ი ვ ე რ ა მ ო ხ დ ა .
- 8) მ ი ს ი ვ ე ნ ა მ დ ვ ი ლ ი და ყ ა ლ ბ ი კ ო მ უ ნ ი ზ მ ი .
- 9) მ ი ს ი ვ ე პ ო ლ ი ტ ი კ ა .
- 10) მ ი ს ი ვ ე ზ ე ნ ი ტ ა ქ ტ ი კ ა .
- 11) მ ი ს ი ვ ე ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი (რ უ ს . და ქ ა რ თ .) .
- 12) მ ი ს ი ვ ე ზ ე ნ ი უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ა (რ უ ს უ ლ ა დ ,
ფ რ ა ნ გ უ ლ ა დ და გ ე რ მ ა ნ უ ლ ა დ) .
- 13) მ ი ს ი ვ ე ი ტ ო გ ი (რ უ ს უ ლ ა დ) .
- 14) მ ი ს ი ვ ე დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა .
- 15) ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი — რ უ ს უ ლ ი კ ო მ უ ნ ი ზ მ ი და ს ა ქ ა რ -
თ ვ ე ლ ო ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა .
- 16) მ ი ს ი ვ ე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო და რ უ ს ე თ ი .
- 17) მ ი ს ი ვ ე დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი .
- 18) უ წ ყ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ო ც . - დ ე მ . მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი -
ის მ ე - III ა რ ა - ლ ე ვ ა ლ უ რ ი ყ რ ი ლ ო ბ ი ს ა .
- 19) გ . კ ა უ ც კ ი — ი ნ ტ ე რ ნ ა ც . და ს ა ბ ჯ ო თ ა რ უ ს ე თ ი .
- 20) მ ი ს ი ვ ე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო და მ ი ს ი ჯ ა ლ ა თ ე ბ ი .

ამ გამომცემათა დაკვეთა შეგივლენა «ბრძოლის სმა»-ში

F21.844

2

၂၀၁၇/၀၆/၀၆
၂၀၁၇/၀၆/၀၆